# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 218

15 ივნისი
"---"-------- 2021 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №53-ის მიმდებარედ 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.013.065) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დანიელისთვის" (ს/კ. 402162798) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №53-ის მიმდებარედ 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.013.065) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დანიელისთვის" (ს/კ. 402162798) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 ივნისის №21.698.798 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №53-ის მიმდებარედ 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.013.065) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „დანიელისთვის" (ს/კ. 402162798) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1080 (ათას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე